ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

ოქმი # 12

სხდომას ესწრებოდა 28 წევრიდან 17 წევრი

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანა
   მომხენებელი: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
2. 2015 წლის ბიუჯეტის განხილვა /დამტკიცება
   მომხენებელი: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
3. მიმდინარე საკითხები

1. მოისმინეს : ფაკულტეტის დეკანის მოვალოების შემსრულებელმა თამარ მახარაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება აუცილებელია საუნივერსიტეტო წესებთან ჰარმონიზაციისთვის.
   აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. მაჭარაშვილმა. საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოადგენილი ცვლილებების პროექტს.
   დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იყოს შემდეგი ცვლილება:
   1. *სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:,,ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, კანცელარია, რესურსების მართვის სამსახური, სარესურსო ცენტრი, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, ტელერადიო სტუდია.“*

2. *სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*
,,მუხლი 26. ტელერადიო სტუდია
ტელერადიო სტუდიის დანიშნულებაა ფაკულტეტის სტუდენტებს ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარებაში, რომლის საქმიანობა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით."

2 მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოვალოების შემსრულებელმა წარმოადგინა 2015 წლის ბიუჯეტი. მან აღნიშნა, რომ მოცემული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა შეფერხებების გარეშე განხორციელდეს 2015 სასწავლო პროცესი. არცერთ მუხლში არ აღნიშნება ბიუჯეტის კლება - იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქოლოგიის მიმართულება გამოეყო ფაკულტეტს და ჩამოყალიბდა ახალ ფაკულტეტად. თ. მახარაძე აღნიშნა, რომ ცენტრალურ ადმინისტრაციასთან ბიუჯეტზე მუშაობის პროცესში პრობლემებს ადგილი არ ჰქონია.

აზრი გამოთქვეს: გ.გოგსაძემ, ზ.დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძე. ნ.მაჭარაშვილმა

აღნიშნა, რომ სახელფასო ფონდი კვლავ არ არის გაზრდილი. ფსიქოლოგების წასვლის მიუხედავად, კვლავ დიდია მოწვეული ლექტორების რაოდენობა. კვლავ ბიუჯეტში არ არის მუხლი კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად. თ. მახარაძემ აღნიშნა, რომ ბევრ დასმულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაცია მუშაობს - შექმნილია უნივერსიტეტის მოდერნიზაციის ჯგუფი, რომლის მიზანია იმ ინიციატივების წამოწყება, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის განვითარებას, ასევე ცვლილებები იგეგმება პროფესორების ხელფასის განსაზღვრის წესში.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს დაამტკიცა წარმოდგენილი 2015 წლის ბიუჯეტი (თან ერთვის)

3. თ. მახარაძემ საბჭოს წევრებს გააცნო სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის სამეცნიერო მივლინების ანგარიში.

ქალბატონი ნანი მაჭარშვილი შემოვიდა ინიციატივით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო გადავიდეს მუშაობის ელექტორნულ ფორმატზე, რადგან სადისერტაციო საბჭოს წევრები ვერ ახერხებენ სხდომებზე დასწრებას და რთულდება მარტივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, რაც აფერხებს დოქტოანტების მიერ წარმოდეგნილ შრომებზე დროულ რეაგირებას. ნ. მაჭარშვილმა შესთავაზა საბჭოს წევრებს, მარტივ საკითხებზე საკმარისი იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრებისან ელექტრონული თანხმობის მიღება. საბჭოს წევრებმა მოიწონეს ნ. მაჭარაშვილის ინიციატივა.

ბატონი ზურაბ დავითაშვილი შემოვიდა ინციატივით, მომდევნო სემესტრში ფაკულტეტის საბჭოს სხდომები დაინიშნოს ყოველი თვის ბოლო პარასკევს 16:00-18:00 სთ-ზე. ეს გაითვალისწინონ პროფესორებმა ცხრილის შედგენისას და არ დანიშნონ ამ დროს ლექციები, რათა მოახერხონ ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე დასწრება. ასევე, პარასკევს 16:00-18:00 პერიოდში არ დაინიშნოს ლექციები სააქტო დარბაზში, რათა ხელი არ შეეშალოს საბჭოს მუშაობაში. საბჭოს წევრებმა მოიწონეს ზ. დავითაშვილის წინადადება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თამარ მახარაძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: დალი ოსეფაშვილი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. თამარ მახარაძე

სოციოლოგიის და სოცილაური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. ალექსანდრე რონდელი
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკის მიმართულება

13. მარიამ გერსამია
14. დალი ოსეფაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. თამარ დოლბაია
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ~~[illegible]~~ თურმანიძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
2015 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	2015 წლის ბიუჯეტი
სულ ხარჯები	2,785,795
შრომის ანაზღაურება	1861140
თანამდებობრივი სარგო	1861140
აკადემიური პერსონალი (წლიური ხელფასი)	1303080
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	558060
პრემია	
დანამატი	
დანამატი (კვლევებისათვის)	
საქონელი და მომსახურება	924,655
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	611,800
მოწვეული სპეციალისტები (საათობრივი ანაზღაურება)	350,000
უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები (ჰონორარი)	22000
დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია) შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება	133,800
დამხმარე პერსონალი (თარგმნა და რედაქტირება)	106000
მივლინება	73871
ქვეყნის შიგნით	3000
ქვეყნის გარეთ	70871
წარმომადგენლობითი ხარჯები	51000
მიღებების, წვეულებების და ღონისძიებების ხარჯები, დარბაზი, ფურშეტი, და სხვა.	12000
მომსახურების უზრუნველყოფა (სატრანსპორტო, სასტუმროს განთავსების და სხვა ხარჯები)	39000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	187984
სამეცნიერო ჟურნალების და კრებულების შეძენისა და გამოცემის ხარჯები (მ.შ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი)	21000
სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	4800
ექსპედიციისა და პრაქტიკის ხარჯები.	45000
სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯებილ (პრაქტიკის ხარჯები)	42184
სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობის დაფინანსება	75000